EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ნოემბერი 2009 №11

2009 წლის 3 ნოემბერს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — ვაცლავ კლაუსმა ლისაბონის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, რამაც შეთანხმების რატიფიცირების პროცესი დაასრულა. ჩეხეთი ევროკავშირის ბოლო ქვეყანა იყო, რომელსაც დოკუმენტი დამტკიცებული არ ჰქონდა. ხელშეკრულების ძალაში შესვლა 2009 წლის პირველი დეკემბრისთვის იგეგმება.

ლისაბონის ხელშეკრულებას ევროპული გაერთიანების 27 ქვეყნის ლიდერმა 2007 წლის 13 დეკემბერს მოაწერა ხელი, თუმცა მისი რატიფიცირების პროცესი 2 წელს გაგრძელდა. შეფერხებები ძირითადად ირლანდიის პოზიციამ გამოიწვია. ამ ქვეყნის მოსახლეობამ პირველ რეფერენდუმზე შეთანხმების დამტკიცებას მხარი არ დაუჭირა, მაგრამ მეორე რეფერენდუმმა დადებითი შედეგი მოიტანა.

ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს. კერძოდ:

1. მაასტრიხტისა (1992) და რომის (1957) ხელშეკრულებებში რამდენიმე ცვლილება შედის. რომის ხელშეკრულებას ევროპის გაერთიანების შექმნის შესახებ სახელი შეეცვლება და მომავალში ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ეწოდება.

2. ევროპული საბჭო, რომელიც ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მეთაურების სამიტს წარმოადგენს, ევროკავშირის ოფიციალურ ინსტიტუტად ყალიბდება. იქმნება ევროპული საბჭოს თავმჯდომარის ახალი პოსტი. თავმჯდომარეს 2.5 წლის ვადით ევროპული საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობით აირჩევენ.

3. გაიზრდება იმ საკითხთა ნუსხა, რომელზეც ევროპის კავშირის მინისტრმა საბჭომ (ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა დარგის მინისტრების შეხვედრა) გადაწყვეტილება კვალიფიციური უმრავლესობით უნდა მიიღოს. ამჟამად უმეტეს სფეროში გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის მექანიზმით ხდება, რაც ხშირად აფერხებს პროცესს.

4. ასევე გაიზრდება იმ საკითხთა რაოდენობაც, რომელთა დამტკიცება ევროპარლამენტის თანხმობის გარეშე ვერ მოხდება, ანუ თანაგადაწყვეტილების პროცედურის გამოყენების არეალი გაფართოვდება. ამ ცვლილებით მნიშვნელოვნად იზრდება ევროპარლამენტის გავლენა.

5. ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის უკეთ კოორდინირების მიზნით იქმნება საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროპის კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ახალი პოსტი, რომელიც ფაქტიურად ამჟამად არსებული ორი თანამდებობის - საერთო საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლისა (ხავიერ სოლანა) და საგარეო ურთიერთობათა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის (ბენიტა ფერერო-ვალდნერი) შერწყმის შედეგად წარმოიშობა. ახალ პოსტზე არჩეული პირი, ამასთანავე, იქნება ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის თავდაცვის სააგენტოსა და საგარეო მოქმედების სამსახურის ხელმძღვანელი.

6. რამდენიმე ინსტიტუტს სახელი შეეცვლება

7. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტები საერთო ევროპულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაცილებით დიდ მონაწილეობას მიიღებენ. კერძოდ, მათ წინასწარ გადაეგზავნებათ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, განახორციელებენ Europol-ისა და Eurojust-ის საქმიანობის პოლიტიკურ მონიტორინგს, გაღრმავდება თანამშრომლობა ევროპარლამენტთან და ა.შ.

8. უქმდება აქამდე არსებული სამ სვეტიანი სისტემა, რომელზეც ევროკავშირი ამჟამად არის დაფუძნებული. ევროპის კავშირი ერთიან იურიდიულ სუბიექტად ყალიბდება.

9. ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიის პრინციპების დაცვა გაერთიანების ყველა წევრი ქვეყნისთვის სავალდებულო გახდება

2009 წლის 19 ნოემბრის ევროპული საბჭოს სამიტზე ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ორ ახალ თანამდებობაზე წარადგინეს: ევროპული საბჭოს თავმჯდომარედ — ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰერმან ვან რომპუი, ხოლო საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროპის კავშირის უმაღლეს წარმომადგენლად - ვაჭრობის საკითხთა ყოფილი ევროკომისარი გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე კეტრინ ეშტონი.

ვან რომპუი პროფესიით ეკონომისტია და ბელგიის პრემიერ-მინისტრის პოსტი 1 წელზე ნაკლები ვადით ეკავა. იგი ახალ პოსტს ოფიციალურად 1 დეკემბრიდან დაიკავებს. რაც შეეხება ეშტონს, მას დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, თუმცა დიდი წვლილი მიუძღვის ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმების (სამხრეთ კორეასთან) გაფორმების საკითხში. ევროპარლამენტმა ეშტონის კანდიდატურა ნოემბრის თვის ბოლო კვირას უნდა დაამტკიცოს.

ევროკალენდარი

8 დეკემბერი

ევროკავშირისა და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა *(მინისტერიალი)* ფორმატით 27+6. (ბრიუსელი, ბელგია)

9 დეკემბერი

ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) შეხვედრა (ტროიკას ფორმატში). (ბრიუსელი, ბელგია)

16 დეკემბერი

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის (Human Rights Dialogue) მეორე შეხვედრა.

(ბრიუსელი, ბელგია)

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

ნოემბრის ღაიჯესტი

თურქეთი ევროკავშირში განევრიანების მზაზე ახალ ნაბიჯს ღგამს

თურქეთის ევროკავშირის საქმეთა მინისტრის — ეგემენ ბაგიშის განცხადებით, მომავალ წელს თურქეთი ახალ სტრატეგიაზე დაფუძნებულ პოლიტიკას აწარმოებს, რომლის მიზანი ევროკავშირთან ექვს ახალ საკითხზე მოლაპარაკების დაწყებაა.

ბაგიშმა ახალი სტრატეგიის ძირითადი მონახაზი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, მთავარი აქცენტი მოლაპარაკების პროცესის დეტალურ გაწერაზე, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე გაკეთდება.

თურქეთსა და ევროპულ გაერთიანებას შორის ურთიერთობებს ჯერ კიდევ 1959 წელს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე ოფიციალური მოლაპარაკება მხოლოდ 2005 წელს დაიწყო. აღნიშნული პროცესი 35 თავს/საკითხს მოიცავს, რომელთაგან ჯერ მხოლოდ ერთი დასრულდა წარმატებით. დანარჩენი თავებიდან ზოგი ამჟამადაც ღიად რჩება, ზოგიერთი კი დაბლოკილია სხვადასხვა მიზეზის გამო.

ევროკავშირი პალესტინის ალიარებაზე უარს ასხღიღებს

პალესტინის ლიდერებმა ევროკავშირს მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება სთხოვეს, რადგანაც ისრაელთან მშვიდობიანი მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.

ევროპული გაერთიანების წევრი ქვეყნების რამდენიმე ლიდერმა პალესტინის მთავრობას მოლაპარაკების გაგრძელებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ისრაელთან მოლაპარაკების გარეშე მათთვის რაიმე სტატუსის მინიჭება წარმოუდგენელია.

ევროკავშირის თავმჯდომარე შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის - კარლ ბილდტის განცხადებით, ევროგაერთიანება მზად არის, აღიაროს პალესტინის სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისათვის შესაბამის ნიადაგს ვერ ხედავს.

ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში - ბენიტა ფერერო-ვალდნერმა განაცხადა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები ვაშინგტონშია.

„მთავარია, რომ დავეხმაროთ აშშ-ს, რათა მან ორივე მხარის მოლაპარაკების მაგიდასთან მიყვანა შეძლოს", - აღნიშნა ფერერო-ვალდნერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზას მხოლოდ მოლაპარაკების გაგრძელებაში ხედავენ.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ ევროპელ გაერთიანებებში განევრიანებაზე ალბანეთის განაცხადის მიღებას მხარი ღაუჭირა

2009 წლის 16 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ალბანეთის აპლიკაციის მიღება გადაწყდა. შემდეგ ეტაპზე ევროკომისიამ უნდა შეაფასოს, რამდენად არის ალბანეთი მზად მოლაპარაკების დასაწყებად. შეფასების პროცესი სავარაუდოდ ერთ წლამდე გასტანს.

ალბანეთმა ევროკავშირში გასაწევრიანებლად განაცხადი 2009 წლის აპრილში წარადგინა, მას შემდეგ, რაც ქვეყანა ნატო-ს შეუერთდა. მინისტრთა საბჭოს თანხმობის მიუხედავად, ნათელია, რომ გაერთიანებაში გაწევრიანებამდე ალბანეთს მოლაპარაკების მრავალწლიანი ეტაპი კვლავ წინ აქვს.

ევროკომისიის ბოლო შეფასებით, ალბანეთს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კუთხით. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ასევე არასაკმარისად არის მიჩნეული.

სერბეთი წლის ბოლომდე ევროკავშირში გასაწევრიანებლად განაცხადის წარდგენას აპირებს

2009 წლის 5 ნოემბერს ევროპარლამენტის წინაშე გამოსვლისას სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა — ვუკ იერემიჩმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა წლის ბოლომდე ევროკავშირში გასაწევრიანებლად ოფიციალურ განაცხადს შეიტანს.

ევროპულ გაერთიანებასთან მოლაპარაკების პროცესში მთავარი სირთულე სერბი სამხედრო დამნაშავეების საერთაშორისო სასამართლოს ტრიბუნალისთვის გადაცემის საკითხს უკავშირდება. ძირითადად საუბარია ბოსნიელი სერბების ლიდერის — რატკო მლადიჩის ექსტრადიციაზე, რომელსაც 8000 ბოსნიელის მკვლელობა ედება ბრალად. სერბეთის მოსახლეობის უმრავლესობა დღესაც ეწინააღმდეგება მლადიჩის ექსტრადიციას.

იერემიჩმა ევროპარლამენტარებს განუმარტა, რომ სერბეთის შესაბამისი ორგანოები მლადიჩს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეძებენ და თუ მიაგნებენ, აუცილებლად დააპატიმრებენ.

ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე მომუშავე გაეროს მთავარი პროკურორი — სერჟ ბრამერცი სერბეთში იმყოფებოდა, სადაც იგი სამხედრო კრიმინალების დასაჭერად ქვეყნის მიერ გატარებულ ზომებს გაეცნო. ბრამერცის შეფასება, რომელიც სავარაუდოდ დეკემბერში გამოქვეყნდება, ოფიციალური ბელგრადის მიერ ევროკავშირში გასაწევრიანებლად წარმოდგენილი განაცხადის მიღება/არმიღების საკითხში გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

საქართველომ ღა ევროკავშირმა სავიზო რეჟიმის გამარტივებისა ღა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების პარაფირება მოახღინეს

2009 წლის 25 ნოემბერს ბრიუსელში პარაფირებულ იქნა საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებები. ქართული მხრიდან ხელშეკრულებათა პარაფირება მოახდინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ - დავით ჯალაღანიამ, ხოლო ევროპული მხრიდან - ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორის მოადგილემ ჟან ლუი დე ბროუერმა

რუსეთმა რამდენიმე საკითხში ევროკავშირთან შეთანხმებას ვერ მიაღწია

2009 წლის 18 ნოემბერს სტოკჰოლმში რუსეთ-ევროკავშირის სამიტი გაიმართა, რომელზეც მხარეები კლიმატის ცვლილებებისა და ენერგეტიკის საკითხებში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ადამიანის უფლებების დაცვა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები რუსეთსა და ევროკავშირს შორის კვლავ ღიად დარჩა.

შეხვედრის შემდეგ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის პრემიერ-მინისტრმა - ფრედერიკ რაინფელდმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში პრობლემურ საკითხებად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვა და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაცია რჩება. რაინფელდის თქმით, რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაკისრებული ვალდებულებები აუცილებლად უნდა შეასრულოს.

თავის მხრივ, დიმიტრი მედვედევმა სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასია ის რეგიონია, სადაც რუსეთისა და ევროპის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ევროკავშირი სამხრეთ ოსეთში მოზარდთა უკანონო დაკავებას ეხმაურება

2009 წლის 12 ნოემბერს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ - შვედეთმა განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროკავშირი გმობს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ოთხი მოზარდის დაკავების ფაქტს და სეპარატისტულ მთავრობას მათი სწრაფი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

ევროპული გაერთიანება თხოვს ყველა მონაწილე მხარეს, მხედველობაში მიიღონ და იმოქმედონ მოზარდებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ევროგაერთიანება მოუწოდებს მხარეებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ევროკავშირის მონიტორინგის მისიისა და ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ყველა რესურსი. ევ-

როკავშირი კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ მხარს უჭერს ჟენევის მოლაპარაკებების გაგრძელებას.

ევროგაერთიანება ყველა მხარეს მოუწოდებს, გამოიყენონ შესაბამისი ზომები, რათა მომავალში მსგავსი სახის ინციდენტები აღარ განმეორდეს.

ევროკავშირი განცხადებაში კიდევ ერთხელ აფიქსირებს საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების პატივისცემას.

ევროკავშირში კორუფციის ყველაზე სუდი მაჩვენებელი საბერძნეთს აქვს

ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა" კვლევის მონაცემებით, ევროპულ გაერთიანებაში კორუფციის ყველაზე მაღალი დონე საბერძნეთში, ბულგარეთსა და რუმინეთშია.

კვლევა 180 ქვეყანას მოიცავს და კორუფციის დონეს 10 ბალიანი სისტემით აფასებს. ყველაზე კორუმპირებული ქვეყნები ნულ ქულას იღებენ.

დასკვნის მიხედვით, წინა წლების მსგავსად, ევროკავშირში კორუფციის ყველაზე დაბალი დონე დანიაშია (9.3), რომელსაც შვედეთი, ფინეთი და ნიდერლანდების სამეფო მოსდევენ. საბერძნეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს 3.8 ქულით ევროპულ გაერთიანებაში ბოლო ადგილი უჭირავთ. აღნიშნულ ქვეყნებს მოყვება იტალია, რომელმაც, წინა წელთან შედარებით, ამ კუთხით ყველაზე დიდი რეგრესი განიცადა. იტალია ისეთ სახელმწიფოებს ჩამორჩება, როგორიცაა პოლონეთი, ლიტვა, თურქეთი და კუბა.

„საბერძნეთის ცუდი შედეგი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება კორუფციის ავტომატურად შემცირებას არ ნიშნავს. გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების დონის გასაზრდელად მყისიერი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო", - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭირვალობის" მოხსენებაში.

ცნობისათვის, საქართველომ, აღნიშნული კვლევის მიხედვით, 4.1 ქულა მიიღო.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com;
www.euobserver.com;
www.europeanvoice.com

ევრობიბლიოთეკა

"ევროპის კავშირის საკონსტიტუციო დილემა"
გამომცემლობა: Europa Law Publishing, 2009
ავტორი: იოაკიმ ნერგელიუსი
ენა: ინგლისური
ფასი: 48 €

"გზა ევროპული თავდაცვისკენ; ახალი გზები, ახალი ჰორიზონტები"
გამომცემლობა: John Harper Publishing, 2009
ავტორი: კარლ ფონ ვოგაუ
ენა: ინგლისური
ფასი: 35 €

წიგნების შეძენა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:
http://eubookshop.com

ევროეკსიკონი

ევროკავშირის პოლიტიკა ჰუმანიტარული დახმარების სფეროში

ჰუმანიტარული დახმარების გაწევის საკითხში ევროკავშირი მსოფლიოში უდავო ლიდერის პოზიციას იკავებს. გაერთიანების მიერ ყოველწლიურად გაცემული სხვადასხვა სახის დახმარება (ფულადი, ტექნიკური, სასურსათო, სამედიცინო თუ სხვა) ათასობით ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება. ევროკავშირის საქმიანობა ჰუმანურობის, ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს ემყარება. იგი სამ ძირითად ინსტრუმენტს მოიცავს:

- **გადაუდებელი დახმარება**
- **დახმარება სასურსათო პროდუქტებით**
- **ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება**

ამ სფეროში ევროკავშირის პოლიტიკას კოორდინირებას უწევს 1992 წელს შექმნილი ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისი (ECHO), რომელიც დახმარების პროგრამების აღმსრულებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. ECHO-ს ფუნქცია ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა და კონფლიქტური სიტუაციების მსხვერპლთათვის სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას მოიცავს.

თხოვნა ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას ევროკომისიიდან, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან, გაერთიანების წევრი ან სხვა ბენეფიციარი ქვეყნიდან.

კომისიას გადაწყვეტილების მიღების სამი პროცედურა გააჩნია:

- **დელეგირების პროცედურა**: საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების მიზნით კომისია ჰუმანიტარული დახმარების დირექტორატის ხელმძღვანელობას ნებას აძლევს, გამოყოს მცირე რაოდენობის პირველადი დახმარება (მაქსიმუმ 3 მილიონი ევრო 3 თვით)
- **უფლებამოსილებით აღჭურვის პროცედურა**: ჰუმანიტარულ დახმარებაზე პასუხისმგებელ ევროკომისარს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მაქსიმუმ 6 თვით 30 მილიონამდე ევროს ოდენობის დახმარების გაწევაა შესაძლებელი. ამასთანავე, აღნიშნულ ევროკომისარს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება 10 მილიონ ევრომდე ოდენობის დახმარების აღმოჩენის შესახებ, თუკი ეს დახმარება არ მიეკუთვნება სასწრაფო რეაგირების კატეგორიას. 10 მილიონ ევროზე მეტი თანხის გამოსაყოფად ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტის თანხმობაა საჭირო.
- **წერილობითი პროცედურა**: მოიცავს ყველა სხვა სახის გადაწყვეტილებას.

ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხდება. ევროკომისიის ფუნქციები პროცედურების მენეჯმენტს, მონიტორინგსა და მოქმედ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის კოორდინირებას მოიცავს. ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისი პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის საქმიანობას, აფორმებს ორი სახის (საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის) ჩარჩო ხელშეკრულებას. გაეროს ჰუმანიტარული დახმარების სამსახურთან (FAFA) ცალკე ხელშეკრულება იდება. ევროკომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს ევროპის კავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტში ყოველწლიურად აგზავნის.

ევრო პაიჭრა

გერმანიის პარლამენტი

ბუნდესტაგის შენობა

გერმანიის პარლამენტი - **ბუნდესტაგი** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი საკონსტიტუციო ორგანოა, რომელსაც პირდაპირი საარჩევნო პროცედურის საფუძველზე ოთხი წლის ვადით ირჩევენ. ბუნდესტაგის ვადამდელი დათხოვნა, მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში, ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია. ამჟამინდელი მე-17 მოწვევის (2009—2013 წწ.) ბუნდესტაგი 622 დეპუტატისგან შედგება. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ბუნდესტაგს, ფედერალურ მთავრობასა და **ბუნდესრატს** აქვს. ბუნდესრატი ფედერაციის კონსტიტუციით განსაზღვრულ კიდევ ერთი ორგანოა, სადაც ტერიტორიული ერთეულები (მიწები/ლანდები) ადგილობრივი მმართველობებიდან წარგზავნილი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო პროცესში, ფედერაციის ადმინისტრირებასა და ევროკავშირთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ბუნდესტაგის ძირითადი ორგანოებია: **პრეზიდიუმი** და **უხუცესთა საბჭო**.

პრეზიდიუმი 4 წლის ვადით ირჩევა და ბუნდესტაგის პრეზიდენტისა და მისი მოადგილეებისგან შედგება. პრეზიდიუმი რეგულარულად ყოველ სასესიო კვირას იკრიბება, რათა ბუნდესტაგის მართვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს. მისი პრეზიდენტი ბუნდესტაგის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც პლენარულ სხდომებს მოადგილეებთან ერთად მონაცვლეობით წარმართავს.

უხუცესთა საბჭო ბუნდესტაგის პრეზიდენტის, მისი მოადგილეებისა (ამჟამად 6 მოადგილე) და ბუნდესტაგის 23 სხვა წევრისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო არ არის, საბჭოს წევრები ასაკით ყველაზე უფროსები იყვნენ, მთავარია, რომ პოლიტიკაში მათ დიდი გამოცდილება ჰქონდეთ. უხუცესთა საბჭო ბუნდესტაგის პრეზიდენტს მისი საქმიანობის ეფექტურად, შეთანხმებულად და შეუფერხებლად წარმართვაში ეხმარება.

გერმანიის პარლამენტი განთავსებულია „რაიხსტაგის" შენობაში, რომელიც ბერლინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლია. იგი 1884-1894 წლებში არქიტექტორ პოლ ვალოტის პროექტის მიხედვით არის აგებული. 1933 წლის ხანძრის, ნაციონალ-სოციალისტების მიერ მრავალგზის დარბევისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგად შენობა ძლიერ დაზიანდა. რესტავრაციის დასრულების შემდეგ 1972 წლიდან შენობა გერმანიის ისტორიის ამსახველ გამოფენებს მასპინძლობდა.

1990 წელს გერმანიის გაერთიანებისა და სახელმწიფოს დედაქალაქად ბერლინის გამოცხადების შემდეგ გაერთიანებული გერმანიის ბუნდესტაგმა პირველი სხდომა „რაიხსტაგში" ჩაატარა. ბრიტანელი არქიტექტორის - ნორმან ფოსტერის პროექტის მიხედვით შენობის რეკონსტრუქცია დაიწყო და მას თანამედროვე სტილის შუშის ახალი გუმბათი დაედგა. 1999 წელს ბუნდესტაგმა ბონიდან ბერლინში გადაინაცვლა და „რაიხსტაგის" შენობაში დაიდო ბინა. გერმანიის პარლამენტი, „რაიხსტაგის" გარდა, სამ სხვადასხვა ნაგებობაშია (იაკობ კაიზერის, პოლ ლობესა და მარი-ელისაბედ ლუდერის სახელობის) განთავსებული. ეს შენობები ერთმანეთს გვირაბებით, სპეციალური გადასასვლელებითა და ბილიკებით უკავშირდებიან და ერთგვარ საპარლამენტო კვარტალს წარმოადგენენ.

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ 28 13 29

euinfocentre@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრის გასვლითი ღონისძიება

2009 წლის 24 ნოემბერს ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრმა ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ გასვლით ღონისძიებაში - „ნატოს ექსპრესი" მიიღო მონაწილეობა.

„ნატოს ექსპრესი" დილის 8 საათზე თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან დაიძრა და საქართველოს რეგიონის ხუთი ქალაქის: გორის, ზესტაფონის, ქუთაისის, სენაკისა და ზუგდიდის სადგურებში შეჩერდა, სადაც ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრის წამომადგენლებმა საინფორმაციო ბუკლეტები და წიგნები „მოგზაურობა ევროკავშირში" დაარიგეს. შეკრებილ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, მატარებლის ვაგონზე სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე „ზუმბას" და ანსამბლ „ჩვენებურების" ორმოცწუთიანი კონცერტი მოესმინა.

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის ღრუბელი"** იბეჭდება 5 რეგიონალურ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაცვლიშვილი, ირინა სერსვაძე, თეა ცარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა

"ევროპის ღრუბელი" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე:
www.parliament.ge